

**საქართველოს კანონი**  
**„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის**  
**თაობაზე**

**მუხლი 1.** „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14(21), 1999 წელი, მუხ. 61) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4<sup>1</sup>. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალა უნდა განადგურდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შეწყვეტიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ამ მასალას ანადგურებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარმდგენი გამომძიებლის საპროცესო ზედამხედველი პროკურორი შესაბამისი განჩინების გამომტანი მოსამართლის მონაწილეობით. აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ დგება ოქმი და იგი დასტურდება შესაბამისი პროკურორის და მოსამართლის ხელმოწერებით. ეს ოქმი გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს (ზედამხედველ მოსამართლეს) და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრში.“;

2. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პროკურორის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის დავალება სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ;

ბ) პროკურორის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის დავალება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი წესით მიღებულია განცხადება ან შეტყობინება, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია გამოძიების ჩატარება, მაგრამ არ არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად. ასეთ შემთხვევაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს;“;

ბ) მე-3–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია დამატებითი მონაცემების შეგროვებას მოითხოვს, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების

განხორციელებისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება გაგრძელდეს 3 თვემდე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ვადა ოპერატიული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის მოადგილის მიერ შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის მიერ, შეიძლება გაგრძელდეს 12 თვემდე. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.“;

3. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

4. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### **„მუხლი 19. საუწყებო კონტროლი**

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ხელმძღვანელები ახორციელებენ კონტროლს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების კანონიერებაზე, კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე.“;

5. 21-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროკურორი ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ განხორციელებული იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების კანონიერებას, რომელიც ჩატარდა პროკურორის დავალებით, აგრეთვე, ამგვარი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისას მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას.

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:

„1<sup>1</sup>. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები და მასალები უკლებლივ უნდა წარედგინოს პროკურორს საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას, ასევე ნებისმიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაზე - პროკურორის მოთხოვნის შემთხვევაში, გარდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

## **მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.